თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N12

ქ. თელავი 18.11.2022 წელი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარის სიტყვიერი დავალებით, კომისიის წევრი - **გიორგი ქართლელიშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **უჩა ჭოტიაშვილი; თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; გივი ლაფაური; მამუკა ბურდიაშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები: **მარიამ ლილუაშვილი და ბაადურ გულიაშვილი.** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - **თედო ხოსროშვილი.** ა(ა)იპ ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი - **ზაქრო რაზმაძე.** პრაქტიკანტი - **მარიამ ფხალაძე.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი - გ. ქართლელიშვილი
თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი - გ. ქართლელიშვილი
თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

<u>**მოისმინეს:**</u> **1.** თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გ. ქართლელიშვილმა მოკლედ მიმოიხილა 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგები და უფრო დეტალურად საკითხის ირგვლივ განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - ნ. ვაყელიშვილს.

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2021 წლის 29 დეკემბერს და ბიუჯეტი განისაზღვრა 28302,0 ათასი ლარით. 2022 წლის 9 თვის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა 01 ოქტომბრის მდგომარეობით განისაზღვრა 79150,77 ათასი ლარით.

სულ შემოსულობების გეგმა 9 თვის განმავლობაში შესრულდა 98,72%-ით. 2022 წლის 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 33431,12 ათასი ლარი. მიღებულმა საკასო შემოსავალმა კი შეადგინა 33002,83 ათასი ლარი.

შემოსავლების გეგმა 9 თვის განმავლობაში შესრულდა 98,91% -ით. დაგეგმილი იყო 32273,71 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 31920,51 ათასი ლარი. გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 9 თვის განმავლობაში შეადგინა 20324,17 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 102,18%-ით. გეგმა იყო 19890,50 ათ. ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი იყო 14132,50 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 14562,76 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 103,04%-ით.

ქონების გადასახადი შემოვიდა 5761,41 ათასი ლარი. დაგეგმილი იყო 5758,0ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100,06%-ით.

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 85,7%-ით. დაგეგმილი იყო 9295,53 ათასი ლარი. ფაქტმა შეადგინა 7965,83 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 3087,68 ათასი ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 3630,51 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 117,58%-ით. აქედან: შემოსავლები საკუთრებიდან დაგეგმილი იყო 1068,50 ათასი ლარი. შემოსავალმა შეადგინა 1345,62 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 125,94%-ით.

პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 9 თვის განმავლობაში შეადგინა 1041,66 ათასი ლარი. დაგეგმილი იყო 704,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 147,96%-ით. მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალმა შეადგინა 121,45 ათასი ლარი, დაგეგმილი იყო 154,50 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 78,61%-ით.

საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან დაგეგმილი იყო 881,18 ათ. ლარი, ფაქტმა შეადგინა 877,84 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 99,62%-ით. მომსახურების გაწევიდან შემოსავალმა შეადგინა 64,60 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 40,50 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა159,51%-ით.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 117,22%-ით. დაგეგმილი იყო 1070,0 ათასი ლარი, შემოსავალმა შეადგინა 1254,21 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა შესრულდა 93,51%-ით. აქედან: 105,5 ათასი ლარი შემოვიდა სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა განთავსებული და სახელმწიფოს საკუთრებაშია. 17,24 ათასი ლარი შემოვიდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან. 731,68 ათასი ლარი შემოვიდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან. 227,90 ათ. ლარი შემოვიდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება 9 თვის გადასახდელებს, ასე გამოიყურება:

გადასახდელების შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის გათვალისწინებით საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გადასახდელების გეგმა შესრულდა 90,34%-ით. გეგმით გათვალისწინებული იყო 5033,1 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 4546,9 ათასი ლარი. აქედან ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გადასახდელების გეგმა შესრულდა 83,46%-ით. დაგეგმილი იყო 148,7 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 124,1 ათ. ლარი. დასვენების. კულტურის და რელიგიის სფეროში გადასახდელების გეგმა შესრულდა 84,42%-ით. დაგეგმილი იყო 3960,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3343,8 ათასი ლარი. განათლების სფეროში გადასახდელების გეგმა შესრულდა 83,68%-ით. რაც შეეხება სოციალურ დაცვას, გეგმა შესრულდა 91,21%-ით. გეგმა იყო 2412,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2200,2 ათასი ლარი.

1 ოქტომბრისთვის ნაშთის ცვლილება ასე გამოიყურება - 2022 წლის 01 ოქტომბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან, მიზნობრივი და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი - 2528,58 ათასი ლარი. ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან (მ.შ. მიღებული ჭარბი შემოსავლებიდან) ნაშთი შეადგენს 12936,56 ათ. ლარს. ნაშთის ცვლილებამ 01 ოქტომბრისთვის შეადგინა 2353,54 ათასი ლარი.

2022 წლის 9 თვის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის დაფინანსების გათვალისწინებით დაიხარჯა 486,51 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 100%-ით. თელავის მუნიციპალიტეტში „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში გადმოცემული ქონების შესახებ და „საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის“ ფარგლებში, თელავის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად.

2022 წლის 9 თვის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 41,815 ათასი ლარი.

კომისიის წევრების მიერ დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რაზეც მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა **თედო ხოსროშვილმა** ამომწურავად უპასუხა.

კომისიაზე წარმოდგენილი, თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვას კომისიის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს გ. გიგიტელაშვილმა, რ. იმერლიშვილმა, ნ. ომანიძემ და ი. კევლიშვილმა.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრების უმრავლესობას მიზანშეწონილად მიაჩნიათ წარმოდგენილი მიმოხილვა შეფასდეს დადებითად (შეფასება თან ერთვის) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს</u>: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> გ. ქართლელიშვილმა წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს- **ნ. ვაყელიშვილს.** მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილების პროექტზე დაწყებული იყო ადმინისტრაციული წარმოება.

მან აღნიშნა, რომ მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით და თვითმცლელი მანქანების შეძენისათვის თანხების მობილიზებაში.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ცვლილებების გათვალისწინებით განისაზღვროს 79213,82 ათასი ლარით.

ეკონომიების გათვალისწინებით გზების კაპიტალური შეკეთების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 85,0 ათასი ლარი, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 25,0 ათასი ლარი და კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5,0 ათასი ლარი, ჯამში 115,0 ათასი ლარით განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

კერძოდ გაიზარდოს დასუფთავების ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დამატებით 15,0 (100,0 +15,0) ათასი ლარით, ნაცვლად სამი მეორადი თვითმცლელი მანქანისა, ორი ახალი თვითმცლელი მანქანის შესაძენად.

ასევე გაიზარდოს კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობის კერძოდ, ა(ა)იპ ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაფინანსების სუბსიდიის მუხლი 100,0 ათასი ლარით, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო განათებების შესაძენად.

აზრთა სხვადასხვაო გამოიწვია ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო განათებების შესაძენად თანხის გამოყოფამ. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა ა(ა)იპ ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორმა - **ზაქრო რაზმაძემ.**

კომისიის უმრავლესობამ წარმოდგენილ ცვლილებას მხარი დაუჭირა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ გ. გიგიტელაშვილს, რ. იმერლიშვილს, ნ. ომანიძეს და ი. კევლიშვილს.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარის მ.შ. გ. ქართლელიშვილი

შეფასება

თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის შესახებ

2022 წლის 18 ნოემბერს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვა“.

წარმოდგენილი მიმოხილვის მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის კვარტალური (9 თვის) გეგმა შემოსულობების მიხედვით 98,72%-ით შესრულდა (გეგმა - 33431,12 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 33002,83 ათასი ლარი). ხოლო გადასახდელების კუთხით შესრულებამ 85,84% შეადგინა (გეგმა - 35704,37 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 30649,29 ათასი ლარი).

ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების კუთხით შესრულების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით, თითქმის თანაბარი მაჩვენებელია და ზრდის ტენდენცია არ იკვეთება (2021 წლის შემოსულობების გეგმა შესრულდა 112,99%-ით. გადასახდელების გეგმა შესრულდა - 85,89%-ით).

რაც შეეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შემოსულობებს კომპონენტების მიხედვით, 2022 წელს მიღებული შემოსულობების დიდი ნაწილი მოდის შემოსავლებზე (31920,5 ათასი ლარი), ხოლო არაფინანსური აქტივების კლებამ 1082,32 ათასი ლარი შეადგინა.

2022 წლის კვარტალური (9 თვის) მაჩვენებლების მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის შემოსულობების შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა დამატებული ღირებულების გადასახადი (14562,76 ათ. ლარი), გრანტებიდან შემოსავალი (7965,83 ათასი ლარი), ქონების გადასახადი (5761,41 ათ. ლარი), საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი (5618,96 ათ. ლარი) და სხვა შემოსავლებიდან (3630,51 ათ. ლარი). გასული 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მაჩვენებლების შევსების დიდი ნაწილი მოდიოდა დამატებული ღირებულების გადასახადზე (11694,90 ათ. ლარი), ქონების გადასახადზე (3655,92 ათ. ლარი) საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწის) გადასახადზე (3469,54 ათ. ლარი) და სხვა შემოსავლებზე (2002,24 ათ. ლარი).

რაც შეეხება ხარჯების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, დიდი წილი მოდის სუბსიდიების მუხლზე (2022 წლის 9 თვე - 8030,25 ათ. ლარი; 2021 წლის 9 თვე - 6409,73 ათ. ლარი). არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლზე (2022 წლის 9 თვე - 10648,97 ათ. ლარი; 2021 წლის 9 თვე - 6161,16 ათ. ლარი); საქონელი და მომსახურების მუხლზე (2022 წლის 9 თვე - 4330,37 ათ. ლარი, 2021 წლის 9 თვე - 3714,61 ათ. ლარი) და

სხვა ხარჯების მუხლზე (2022 წლის 9 თვე - 2562,85 ათ. ლარი, 2021 წლის 9 თვე - 1701,31 ათ. ლარი).

თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის კვარტალური 9 თვის მიმოხილვის მიხედვით 2022 წლის 01 ოქტომბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთმა შეადგინა 2528,58 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან (მ.შ. მიღებული ჭარბი შემოსავლებიდან) ნაშთმა შეადგინა 12936,56 ათასი ლარი. ნაშთის ცვლილებამ, 01 ოქტომბრისთვის შეადგინა 2353,54 ათასი ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის კვარტალური 9 თვის მაჩვენებლების მიხედვით, ნამდვილად არის მოლოდინი, რომ წლიური ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდება.

ამდენად, თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვა, საფინანსო-საბიუჯეტომ კომისიამ დადებითად შეაფასა.